

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის
2012 წლის 6 ივლისის სხდომის
ოქმი №11

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 21. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი –2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ:

1. გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის სამეცნიერო გრანტების გრაფა, რომელიც გამომდინარეობს, ერთი მხრივ, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2012 წლის 6 ივნისს გაფორმებული №05/14 ხელშეკრულებიდან და იგი შეადგენს 28 100 ლარს. ამ ხელშეკრულების თანახმად, სტუ წარმოადგენს პროექტის თანადამფინანსებელ ორგანიზაციას 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც გამოიყოფა ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვის სუბსიდიის მუხლიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტში, 1 000 ლარი – წარმომადგენლობითი

ხარჯების მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების პუნქტში, 3 900 ლარი – ოფისის ხარჯების საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში, ხოლო 4 100 ლარი – ოფისის ხარჯების საკანცელარიო ხარჯების პუნქტში.

2. გაიზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი 93 246 ლარის ოდენობით, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვითი ნაწილი.

3. განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

– ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 335897 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის მუხლში.

– ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 50000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების მუხლში.

– ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების მსუბუქი ავტომობილების შეძენის ხარჯების პუნქტიდან 1 650 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში.

4. სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა დანადგარების არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლიდან 4000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების საგამომცემლო ხარჯების მუხლში.

სპიკერი: ბიუჯეტში არსებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ვთხოვ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა დავით ჯაფარიძემ.

პროფ. დავით ჯაფარიძე: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა. მინდა გითხრათ, რომ ბიუჯეტში არსებული ცვლილებები გამოწვეულია აუცილებლობის გამო და არ წარმოადგენს დიდ თანხობრივ ცვლილებას, ამიტომ კომისიას საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 6 ივლისის №11 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა, სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები, როგორც აუცილებლობით გამოწვეული გარემოება, რომლის გათვალისწინება სტუ-ს ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლებელი იყო, კერძოდ:

1. გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის სამეცნიერო გრანტების გრაფა, რომელიც გამომდინარეობს, ერთი მხრივ, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2012 წლის 6 ივნისს გაფორმებული №05/14 ხელშეკრულებიდან და იგი შეადგენს 28 100 ლარს. ამ ხელშეკრულების თანახმად, სტუ წარმოადგენს პროექტის თანადამფინანსებელ ორგანიზაციას 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც გამოიყოფა ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვის სუბსიდიის მუხლიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან გადატანილ იქნეს 1 000 ლარი წარმომადგენლობითი ხარჯების სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტში, 1 000 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების პუნქტში, 3 900 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში, ხოლო 4 100 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების საკანცელარიო ხარჯების პუნქტში.

2. გაიზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვა და ნაერთი ბიუჯეტი 93 246 ლარის ოდენობით, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვითი ნაწილი.

3. განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

- ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 335897 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის მუხლში.

- ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 50000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების მუხლში.

- ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების მსუბუქი ავტომობილების შეძენის ხარჯების პუნქტიდან 1 650 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში.

4. სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა დანადგარების არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლიდან 4000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების საგამომცემლო ხარჯების მუხლში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დადგენილი სტუ-ს ბალანსზე რიცხული შემოერთებულ ინსტიტუტებში არსებულ ამორტიზებულ ძირითადი აქტივების ჩამოწერის დოკუმენტაციის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მოგახსენებთ, რომ საინვენტარიზაციო კომისიამ, რომელიც მუშაობდა 2011 წლის განმავლობაში სტუ-ს ბალანსზე რიცხული შემოერთებულ ინსტიტუტებში არსებულ ამორტიზებულ ძირითადი აქტივებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად დაასრულა მუშაობა და ამჟამად მიმდინარეობს ჩამოწერის პროცედურა.

სპიკერი: ქალბატონო ქეთევან, მაინტერესებს ფორმდება თუ არა მიღება-ჩაბარების აქტები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: რა თქმა უნდა, ფორმდება, როგორც მიღება-ჩაბარების აქტები, ისე მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ჩემი აზრით, ეს პროცედურა ნამდვილად მისაღებია ჩვენი უნივერსიტეტისათვის.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 6 ივლისის №11 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დადგენილი სტუ-ს ბალანსზე რიცხული შემოერთებულ ინსტიტუტებში არსებულ ამორტიზებულ ძირითადი აქტივების ჩამოწერის დოკუმენტაციის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

სენატმა მიზანშეწონილად მიიჩნია, მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციას სტუ-ს ბალანსზე რიცხული შემოერთებულ ინსტიტუტებში არსებულ ამორტიზებულ ძირითადი აქტივების ჩამოწერის თაობაზე მისი დასაბუთებულობის გამო.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა – მომხს. პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მინდა წარმოგიდგინოთ საკითხი, რომელიც მოქმედი წესდების შესაბამისად ექვემდებარება თქვენთან შეთანხმებას, ეს გახლავთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წელს შესრულებული სამუშაო, რომელიც წარმოდგენილი მაქვს ტექსტური ფორმით, სამუშაო ანგარშს ასევე ახლავს ციფრული დანართებიც, გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემ მიერ წარმოდგენილი ანგარიში თქვენ ელექტრონული სახით გადმოგეგზავნათ და, სავარაუდოდ, გაცნობილი ხართ. ამიტომ თუ რაიმე შენიშვნა ან კითხვა გაქვთ, მზად ვარ გიპასუხოთ.

სპიკერი: ბატონო დავით, რას გვეტყვით წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით?

პროფ. დავით ჯაფარიძე: მე პირადად გავეცანი ამ ანგარიშს, ასევე კომისიასთან ერთად დეტალურად განვიხილე ყველაფერი და გარკვეული შენიშვნებიც გამოვთქვი, პირველი და ძირითადი შენიშვნა ის არის, რომ ჩვენ საბიუჯეტო შემოსავლებსა და ხარჯვით ნაწილში გვაქვს დიდი პრობლემა, კერძოდ, 3 900 000 ლარი დააკლდა ბიუჯეტის გათვალისწინებულ შემოსავლებს 2011 წელს, ამას დაერიცხა 600 000 ლარი მოგების გადასახადი, ანუ გასულ წელს ჩვენ დაახლოებით 4 500 000 ლარი ვიზარალებთ. გამოვთქვი შენიშვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებით სისტემა არის შესამუშავებელი, ეს თუ არ გამოსწორდა, კიდევ უფრო დიდი ზარალი იქნება წელს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სუდენტებისაგან არ შემოდის შემოსავლები. რაც შეეხება მეორე შენიშვნას, როგორც გახსოვთ 2011 წელს, ჩვენ დავაზუსტეთ გეგმა, სადაც სერიოზული სხვაობა იყო დაგეგმილსა და დაზუსტებულს შორის ანუ თანხები იყო გაწერილი ისე, რომ ჩვენთან არ იყო შეთანხმებული. ჩემი მესამე შენიშვნა გახლავთ იჯარებთან დაკავშირებული, რაზეც ქალბატონ ქეთევანს თავის ანგარიშში უწერია, რომ მონიტორინგის გამკაცრებით იჯარებიდან მოვიღეთ კარგი შემოსავლები, სინამდვილეში 2011 წელს 150 000 ლარი დააკლდა იჯარებიდან შემოსავლებს. ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ წარმოდგენილი ანგარიში, თუ არ გავითვალისწინებთ ამ შენიშვნებს, საკმაოდ კარგად არის შესრულებული და დიდი სამუშაოა გაწეული, წინა წლებთან შედარებით უკეთესია და დაზუსტებულია. ამიტომ, ჩემი აზრით, წარმოდგენილი ანგარიში უნდა დამტკიცდეს, ხოლო რაც შეეხება ჩემს შენიშვნებს, რეკომენდაციის სახით დავწერ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: შევეცდები, რომ კითხვებს ვუპასუხო და გარკვეული განმარტებებიც გავაკეთო. პირველ კითხვას რაც შეეხება საბიუჯეტო შემოსავლებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ დაგეგმილის 100%-ით შეუსრულებლობა გამოიწვია რამდენიმე ასპექტმა, რომელიც ასახულია ჩემს ანგარიშში, კერძოდ სახელმწიფო საბიუჯეტო თანხებიდან

შემოვიდა იმაზე ნაკლები თანხა, რამდენიც თავდაპირველად იყო დაგეგმილი, კერძოდ 13 814 ლარი, იჯარებიდან შემოსავლების ნაკლებობა გამოიწვია იჯარის ხელშეკრულების ტოტალურმა შეწყვეტამ, რაც ჩვენ განვახორციელეთ 2011 წლის სექტემბრიდან წლის ბოლომდე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ფასიანი სწავლებიდან არ შესრულდა 4 508 783 ლარი. ეს გახლავთ ის თანხა, რომელიც სტუდენტებმა არ გადაიხადეს. ამ თანხაში შედის ასევე დაფინანსებული სტუდენტები, რომლებიც თქვენი გადაწყვეტილებით გაგანთავისუფლეთ გადასახადისაგან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 6 ივლისის №11 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა 2011 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

სენატმა გადაწყვიტა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიეცეს თანხმობა 2011 წლის წლიური ანგარიშის რეგენტთა საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ინფორმაციის სახით წარმოგიდგენთ შემდეგ საკითხს: პრეზიდენტის ბოლო გამოსვლით, კიდევ ერთხელ დადგინდა, რომ ყველა იმ შენობაში, სადაც ლტოლვილები არიან კომპაქტურად ჩასახლებულები, უნდა მოხდეს მათზე ამ ქონების სამართლებრივა დამტკიცება. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შემოერთებული ინსტიტუტებიდან, რომელთაც გამოჰყვათ საკუთარი ქონება, ასეთია 2 შენობა. პირველი ეკუთნოდა „ანალიზხელსაწყოს“ და მდებარეობს კახეთის გზატკეცილზე, ხოლო მეორე გახლავთ ტყიბულის კოლეჯი. საქართველოს

ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სახელმწიფოს აცნობა, რომ ჩვენ ბალანსზე გვქონდა ორი ასეთი ნაგებობა.

სენატმა ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

სპიკერი: წარმოგიდგენთ მიმდინარე საკითხებს, რომლებიც დღის წესრიგით არ იყო გათვალისწინებული.

პროფ. ბორის ბოქოლიშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აღნიშნული საკითხი დღეს გავიდა აკადემიურ საბჭოზე და გვაქვს შესაბამისი დადგენილება №712.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 6 ივლისის №11 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის დადგენილება № 712.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში შეიქმნას „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების“ დეპარტამენტი.

პროფ. ზვიად კოვზირიძე: წარმოგიგდენთ საკითხს სტუ-ს საიუბილეო 90 წელთან დაკავშირებით გრაფიკული ნამუშევრების შექმნის შესახებ, კერძოდ ეს იქნება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის შესრულება სამ ქართულ ანბანზე და „ოქროს საწმისის“, „მედეა ხოხობით“, „ხალიბების“ და შოთა რუსთაველის ორი აფორიზმის გრაფიკული შესრულება. აკადემიური საბჭოს დადგენილება №670. მოგახსენებთ, რომ შექმნილია სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ა. ფრანგიშვილი
2. ქ. ქოქრაშვილი
3. ნ. ხაზარაძე
4. მ. ჯიქია
5. ჯ. გახოკიძე
6. დ. ჯაფარიძე
7. გ. სალუქვაძე
8. ზ. კოვზირიძე

პროექტის ორგანიზაციული და ფინანსური საკითხების უზრუნველყოფა ვთხოვეთ სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მიმდინარე საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 6 ივლისის №11 სხდომაზე პროფ. ზვიად კოვზირიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საიუბილეო 90 წელთან დაკავშირებით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერისა და სხვა გრაფიკული ნამუშევრების შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მაისის დადგენილება №670.

სენატმა გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ს იუბილესადმი მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის სამ ქართულ ანბანზე შესრულება და „ოქროს საწმისის“, „მედეა

სოხბით“, „ხალიბების“ და შოთა რუსთაველის ორი აფორიზმის გრაფიკული შესრულება.

2. შეიქმნას სარედაქციო კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

1. ა. ფრანგიშვილი
2. ქ. ქოქრაშვილი
3. ნ. ხაზარაძე
4. მ. ჯიქია
5. ჯ. გახოკიძე
6. დ. ჯაფარიძე
7. გ. სალუქვაძე
8. ზ. კოვზირიძე

3. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდეს დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა დაევალოს ზვიად კოვზირიძეს.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,
პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,
სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი